

თაუზ ისაევძი

რჩეული

თარგმნა
ნიკა ბაძალუამ



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა

თაუზ ისაევია

რჩეული

თარგმნა ნიკა ბაძალუამ

თბილისი 2021

udc (უაკ) 821.351.42-82

ი-833

რედაქტორი
ალექსანდრე მესხორაძე

ტექნიკური უზრუნველყოფა
შალვა პაპალაშვილი

მადლობას ვუხდით საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორს გიორგი კეკელიძეს და ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორს ემზარ ჯგერენაიას თანადგომასა და წიგნის გამოცემისთვის.

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2021

© ნონა ხანგოშვილი, 2021

ISBN 978-9941-9736-7-3



ისაევი თაუზ სულთანის ძე

ლიტერატურული ფსევდონიმი –

თაუზ ისი

ჩეჩენი მწერალი, პოეტი, პროზაიკოსი, ესეისტი, კინოსცენარისტი. ჩეჩნეთის რესპუბლიკის მწერალთა კავშირის წევრი (2007 წ.). საზოგადოებრივი ორგანიზაციის „კავკასიის კულტურის აკადემიის“ ვიცე-პრეზიდენტი.

დაიბადა 1959 წლის 11 ოქტომბერს ყაზახეთში. 1957 წელს, ჩეჩენი ხალხის რეაბილიტაციისა და რესპუბლიკის აღდგენის შემდეგ, თაუზის ოჯახმა შეძლო სამშობლოში, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ში დაბრუნება. იმავე წელს წავიდა სკოლაში და 11 წლის ასაკში დაიწყო ლექსების წერა. დაამთავრა შატოის რაიონის ბონოვსკაიას 8-წლიანი სკოლა (1965), საშუალო სკოლა დაამთავრა როსტოვის ოლქში 1968 წელს, სადაც ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა 1965 წელს.

1973 წელს ჩაირიცხა ჩეჩნეთ-ინგუშეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. მუშაობდა პედაგოგად სკოლებში, შემდგომში მსახიობად ჩეჩნეთ-ინგუშეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

1976 წ. ჩაირიცხა ვორონეჟის ხელოვნების ინსტიტუტში თეატრალურ ფაკულტეტზე, სადაც სწავლას აერთიანებდა ჩეჩნეთ-ინგუშეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, მაგრამ მესამე კურსზე ოჯახური მდგომარეობის გამო იძულებული გახდა სწავლა შეეწყვიტა. 1982 წელს ჩაირიცხა ა. მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში ქ. მოსკოვში. პარალელურად მუშაობდა თეატრში. ასევე გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებში. გამოცემდა კულტუროლოგიური სახის გაზეთებს „ზმნა“ და „სიტყვა“.

თაუზის ლიტერატურული შემოქმედების დასაწყისი უკავშირდება პოეზიას. მისი პირველი პოეტური ნაშრომები გამოქვეყნდა ჟურნალში „აღმოსავლეთის ვარსკვლავი“ (ჩეხნურ ენაზე, 1980), კრებულში „იცხოვრო დედამიწისთვის“, „ჩეხნური პოეზიის ანთოლოგია“ (ჩეხნურ ენაზე, 1982). იბეჭდებოდა სხვადასხვა დროს ჟურნალებში: „ლიტერატურული აფხაზეთი“, „ორგა“, „ვაინახი“, „ნანა“ და სხვ.

პირველი წიგნი „სულის სივრცე“ გამოიცა ქ. გროზნოში, 1991 წელს, სადაც ჭარბობს ვერლიბრი და ვერბლანი (თავისუფალი და თეთრი ლექსები); პოეზიის კრებული „მუჭა“ (2001); ესეების წიგნი „სახეები“ (2003); მოთხრობები „მოგზაურობა შუადღისას“ (2006); პოეზიის კრებული „ხაზები“ (2008); ესე „ჩეხნური მზე“ (2014) და სხვა ლექსების კრებული და ესეები. მისი ცნობილი რომან-ლაიტოლოგი „სამშობლოს სახელი“ პირველად გამოქვეყნდა საქართველოში 2011 წელს და მეორედ – ქ. გროზნოში 2019 წელს.

მუშაობდა დრამატურგიის ჟანრის მიმართულებითაც, დაწერილი აქვს თორმეტი პიესა („აპოკალიფსის მერე“, 1989; „ირსან გეზაგ“ („იღბლიანი ყვავილი“, ჩეხნური ფოლკლორის „ილი“ დრამატიზაცია, 2015; „ქვა“, 2016; „დიენოშ-ბუისანაშ“ („დღეები-ღამეები“), 2017; „ლურჯი წეროები“, 2018; „მავზოლეუმი“, 2018 და ა. შ.), რომელთაგან ერთ-ერთი პიესა „კავკასიის ვარსკვლავი“ დაიდგა ქ. გროზნოში, ლერმონტოვის სახელობის თეატრში.

სიცოცხლის ბოლო წლებში წერდა რომანს „კერა“ გადასახლების წლებში დაკარგულ ეთნიკურ კერებზე. დღეს გამოცემას ელოდება მისი ექვსი ხელნაწერი – პოეზია, პროზა, ესე და დრამატურგია.

დაჯილდოებულია მ. მამაკაევის სახელობის ორდენით „ოქროს არწივი“.

გარდაიცვალა 2021 წლის 8 ივლისს.



ნიკა (ნიკოლოზ) ბაძალავა

პოეტი, მთარგმნელი, აფხაზური ლიტერატურის მკვლევარი.

დაიბადა 1994 წლის 24 ივნისს, აფხაზეთში. 2012 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. 2015-2018 წლებში სწავლობდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ქ. სოხუმი), ფილოლოგიურ ფაკულტეტზე (აფხაზური ენა).

თარგმნის აფხაზურ პოეზიას ქართულად, ქართულს – აფხაზურად, ხოლო ჩრდილოკავკასიურ პოეზიას აფხაზურად და ქართულად.

მისი ლექსები თარგმნილია ინგლისურ, ბერძნულ, პოლონურ, ადიღურ და ჩეჩნურ ენებზე. სრულყოფილად ფლობს და წერს აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე.

2019 წლიდან დღემდე მუშაობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ქ. თბილისი) სამშვიდობო განათლების კვლევითი ცენტრის მკვლევარად.

ავტორია 3 კრებულის: „შემოქმედება“ (2018 წ.), „აფხაზური პოეზიის ანთოლოგია“ (2020 წ.) და „ნაზამთრალ გულებში კვლავ გამოიდარებს“ (2020 წ.).

მინიჭებული აქვს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის (2017 წ.) და ტერენტი გრანელის სახელობის ლიტერატურული პრემია (ნომინაციაში – „გრანელის პოეზიის თარგმანი“. (2020 წ.).

წინათქმა

ქართულ მწერლობაში ძალიან იშვიათია ჩეჩენი პოეტების ქართულად თარგმნილი პოემების ნიმუშები, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ბიბლიოგრაფია მდიდარია ვაინახებისადმი (ჩეჩენები, ინგუშები, ქისტები) მიძღვნილი მაღალმხატვრული პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებებით. ჩვენი საერთო წინაპართა ფესვებგადგმულ მიწაზე ბრძოლით, ცეცხლითა და მახვილით გაკაფულ თუ მუდმივად მტერჩასაფრებულ გრძელ საუკუნოვან გზაზე რთული იყო გვეზრუნა, ერთმანეთისთვის წარმოგვედგინა ჩვენი ესთეტიკური ხელოვნება და მისი სიღრმეები. თუ გადავხედავთ ჩვენს ისტორიას შორეული წარსულიდან, მაშინვე გასაგები ხდება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დღევანდელ დღეს, ჩეჩენური პოემის თარგმნა ქართველი მკითხველისათვის, ამასთან წინამდებარე კრებულის სახით მისი მომზადება და გამოცემა.

თაუზ ისაევის პოემია, თავის მხრივ, როგორც თავად თაუზი აღნიშნავდა უმაღლესი პასუხისმგებლობაა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარ ამაოებაზე მაღლა დგას, ეს სულის სიგრცეა, სადაც ადამიანი იღვწის, ზრუნავს, გრძნობადს ხდის მატერიას, ქმნის, მაგრამ ყოველი შედეგის შექმნა ამავე დროს დიდი თავისუფლებაა. თაუზის პოემია გამოირჩევა ემანაციური სტილით, მისი არავერსიფიკაციულად თანწყობილი სიტყვები საოცრად მგრძნობიარე და მთრთოლვარეა, უჩვეულო სიმარტივით აფრქვევს ირგვლივ საკუთარი სულიერი შტრიხებიდან მომდინარე თავისებურად აღთქმულ, მაგრამ ზნეობისა და ჰუმანურობის მწვერვალეებში მოქცეულ სიცოცხლის ფილოსოფიას.

ამასთან პოეტს შეუძლია სიმართლის სიტყვებით ხალხისთვის კელაპტარივით იწვოდეს, სინათლე მოჰფინოს სიბნელეს და იკისროს დიადი მისია - გააძლიეროს და აღამაღლოს ერის სულისკვეთება, სამშობლოს სიყვარულით აღანთოს, თუნდაც ორი

სტრიქონით შეგძრას, როგორც ეს მთარგმნელისგან თაუზის ლექსთა დასასრულს თეთრ ფურცელზე დაღვენილი და თავად სხეულში ამოტვიფრული სულ რამდენიმე სიტყვაა:

„სამშობლო - დაუცხრომელი და უძლეველი
გულია ჩემი...“

აქ იგრძნობა ავტორთან ერთად მთარგმნელის ოსტატობა. ნიჭიერმა ახალგაზრდა მთარგმნელმა, პოეტმა ნიკა ბაძალუამ შეძლო ნაპერწკლებივით მოკიაფე და ერთმანეთზე აკინძული ქართული ბგერებით, ქართული ენის სიცოცხლე შთაებერა თაუზის პოეზიისათვის. ძალიან ახლოს მივიდა მის სამყაროსთან, გაიზრა მთელი მისი სიგრძე-სიგანე, დიდი მხატვრულობით, მთელი თავისი არსით და ფილოსოფიით მოიტანა მკითხველამდე.

ძალიან დასაფასებელია ნიკა ბაძალუას უანგარო ღვაწლი. ამ კულტურული მისიით მან სულიერების ახალი უხილავი ძაფები გააბა ჩვენს ერებს შორის, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი თაობების დაახლოებას და უფრო მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას. კულტურა, ეს არის კავკასიელი ერების მთავარი მამოძრავებელი და შემაკავშირებელი ძალა, რომელიც ძლიერი მუხტით აძლევს წინსვლისა და განვითარების საშუალებას ერთიანი და მშვიდობიანი კავკასიის მომავალს.

წიგნი ეძღვნება თაუზ ისაევის ნათელ ხსოვნას. წიგნზე მუშაობა დაწყებული გვექონდა თაუზის სიცოცხლეშივე, დასანანია, რომ ვერ მოესწრო წიგნის გამოცემას.

თუმი დიშნი (ნონა ხანგოშვილი)

პროლოგი

როგორც წვეთები ირეკლებიან ნაკადში
და იქმნებიან საგაზაფხულო სიმღერის
წვეთად,
ამ სიტყვათა წვეთებიც
ასევე შეიკრიბნენ ერთად
და
ალაპარაკდნენ...

* * *

არის მარადიული ჭეშმარიტება,
მისი საზღვრები უბრალოა...
ძღვენი ყოვლისმპყრობელისა:
მიწა – მთმენელი,
ჰაერი – შესუნთქებადი,
წყალი – ჩამაქრობელი,
ხორბალი – მაცოცხლებელი,
სიჩუმე – მკურნალი,
სიყვარული – ამამალლებელი,
სინათლე – გამაბრწყინებელი
და...
ადამიანი – გადავიწყებული.

* * *

გუშინ ბავშვებმა გახსნეს ბანაობის სეზონი, —
ისე მხიარულად ბანაობდნენ
შადრევანში,
ჩვენც მოგვინდა მათთან ერთად
ბანაობა,
მაგრამ „არ შეიძლებოდა“,
ჩვენ ხომ „უფროსები ვართ“...
მე და ჩემი მეგობრები
სკამზე ვისხედით და ვსაუბრობდით,
ჩაძირულნი „ფილოსოფიური ქვის“
ძიებაში,
არა და ის ჩვენს წინ ბრწყინავდა,
ყოველგვარი სახით მოთამაშე:
წვეთებში, ყვირილში, სიცილში
და იმ იდუმალ ოცნებებში,
რომელიც ცხოვრობდა ჩვენში
და ყოველ გამვლელში...

* * *

ზოგი სიბრტყეზე ცხოვრობს,
ზოგი სფეროში,
ზოგი იქაც და აქაც.

* * *

ვერ გადმოსცემ,
თუ როგორი გახელებით
ჩადის მზე და
მიფრინავენ ფრინველები...

* * *

გაზაფხულზე, — ბაყაყების
პირველმა ამღერებამ
სიყმაწვილე
გააღვიძა ჩემში...

* * *

არასდროს იჩქარო
და არასდროს დააგვიანებ...

* * *

მაისის ხანგრძლივი სიგრილის შემდეგ,
ერთ დღესაც
დადგა სიცხით გამთანგავი ხვატი...
ჩვენ გამალებით დავეხეტებოდით
ჩრდილისა და ჭეშმარიტების ძიებაში
და ირგვლივ ყველაფერი
მიდიოდა... მირბოდა... მიქროდა...
შებინდებისას მოვიდა წვიმა,
მანვე მოიტანა შებინდება...
დაბნელების დროს
ელვები ხატავდნენ
სინათლეს და სიბნელეს...
სახლებში აღდგნენ ჩუმი სანთლები,
ქალაქში და გულებში აღდგა სიჩუმე...
ფრინველები ჩაიმარხნენ ბუდეებში...
ეს იყო საოცარი ელვა, —
ყოველგვარი ქუხილის გარეშე.
ადრე დავწექით და ადრე ავდექით.
დილით
ბევრმა ნახა მზე
და ისიც, თუ როგორ
იბადებიან ღრუბლები...

* * *

ვარდი ტირის ყლორტებით,
სიმღერას გაურბის ბულბული,
დადუმდა დამშრალი შადრევანიც...

* * *

წარსულს (რომელიც უკვე აღარ არის)
და მომავალს შორის (რაც ჯერ არ ყოფილა) –
გრძელდება მუდმივი წამი...

* * *

გადაიშალა ვარდი და ვარსკვლავი,
და სინათლე სარკმელში,
და შორეული კოცონის ალი...

* * *

ბურუსი დაფარფატებს
თოვლის ფანტელივით,
ქალაქი აქცია მტვრად და ბურუსად.
ეზოში, მაისის ქარწვიმების ქვეშ
მოვიმარჯვე გაზაფხულის კალამი,
მგალობელი ჩიტის ზეციური ძღვენი,
ყოფილიც და არყოფილიც
ბურუსმა მომაწოდა —
ვერსად წაუხვალ, ყველგან მაისია...
საქმეც არაფერია როგორც კი
სიმღერაში აჯობებ შადრევნებს,
შესვამ მზეს,
იფრენ მერცხლებზე მაღლა
და გაჰყვები ბურუსს...

* * *

შებინდებისას ანთებულ ფარანთან
გაიციმციმა სიბნელემ,
დედღებოდა და ხშირდებოდა ციმციმი...
სალამოსკენ ფარანი შეიბურა
ოქროსფერი ქართ...
შარავანდელი თხელდებოდა და
დილისკენ გაიცრიცა...
გამთენიისას
ფარანი ობოლივით დადუმდა...

როდესაც ვარდება წაბლი

გახსოვს, წაბლს რომ ვაგროვებდით
ორ ომგადახდილ, ფერფლისგან
აღმდგარ ქალაქში?
მაშინ ცვიოდა პირველი ნაყოფი...
ყველაფერი გადათხრილი იყო:
ქალაქი, ხალხის ბედი, დრო...
ისევ შემოდგომაა
და ისევ ცვივა ნაყოფი...
თავის ჟამს რომ დაითვლის
ყველაფერი წყდება და ცვივა:
ცაც, შემოდგომაც, წვიმაც,
და ეს ნაყოფიც...

* * *

ახლოვდება ჟამი, არა, ჟამი არა —
დაღუპვა... შველა... უღირსობა... ღირსება...
უცოდინრობა... სიახლე...
გაიხსენე ყველაფერი და დაივიწყე...
და ისევ დაივიწყე...
არაფერი მოუყვე არავის...
ერთნაირად ჭიანჭურდება ყველაფერი,
რაც ყველასთვის მიუწვდომელია
და სხვაგვარად ლამობს
იყოს არსად და არა რად...
შენ მიუახლოვდი წამს... დააგვიანე...
წუთით გაიარე ყველა მიწიერი
გზები და დატოვე...
შენ ამონათვე, როგორც ამოდის ბინდი
მკვდარ სინათლეთა შორის...
ამოდის მორჩილების, სიყვარულისა
და იმედის წვით, სანამ
მარტოა და ლამაზია
მინავლული ვარსკვლავი...

* * *

მზე — შთაგონებაა ჩემი...

* * *

ღამეში ანათებს ფარანი
და მის ქვეშ დაუღალავად ცეკვავს
მინდორი.

ღამე, წვიმა, ფარანი და ოქროს მინდორი,
როგორც წინ მდებარე
ხანგრძლივ ღამეთა მაცნეები,
შეიკრიბნენ შემოდგომის
პირველ ნადიმზე, –
მომავალ გაზაფხულამდე
და შემოდგომამდე,
მომავალი შემოდგომის
პირველ ამოსუნთქვამდე...

* * *

შელამებისკენ მიედინება
მდინარის სარკე...

პეპელა

უხვად რომ შესვა
ყვავილთა ნექტარი,
საღამოს
ვარსკვლავად გადაიქცა...

* * *

დილის სიწყნარე...
რიჟრაჟის ნისლიან ბინდბუნდში,
ყვავი იწმენდს ტანს
გამხმარ აკაციაზე...

* * *

ყოველ შემოდგომაზე
ჩემს გაცვეთილ ფეხსაცმელებს,
როგორც ხეს ფოთლები –
ცვივა ლანჩები...
მიწვეული დაცვენილ
ფოთლებზე სასიარულოდ,
კვლავ ფეხშიშველი ვეძებ
გზას სახარაზომდე...

* * *

განშორების ზღვარზე, —
ყველაფერი ძველი
ახლად გერგენება...

* * *

ხეები ბოლომდე გაშიშვლდნენ
და მდუმარებასთან შერწყმულნი
უფრო გალამაზდნენ...

* * *

შემოდგომის ბალებს შეერწყნენ კრაზანები,
იფერფლებიან გვიანი ვარდები,
უფრო გახშირდა ხველება...
ღირა გვირგვინად დადგმული ირემი
ყვირის შორეულ ტყეში...
ოქროს სარკეა
ზეციური ოსანა პირველქმნილ
სამყაროს თავზე...
უკანასკნელი დაუდევრობიდან
თოვლამდე მომწიფდა
შემოდგომის სინათლე
და მთებზე ჩამოწვა...
ანგელოზური ფრინველები
ითვლიან მარცვლებს,
ცოცხლობს ოცნება თეთრ თასზე,
თვალი აღიქვამს კადრს...

* * *

ყველაფერმა ჩაიარა
და ყველაფერი დარჩა, —
არაფერიც არ დარჩა...

* * *

ცა იღვრებოდა და იღვრებოდა
გაზაფხულის სურნელოვან
ყვავილებთან ერთად...

* * *

ჩვენ, მთიელები, –
თავისუფლების ხალხი ვართ!

* * *

დღეს ისევ გადავეყარე ცას...

* * *

ნელა დგება უკვდავი ბალახი...

* * *

სიჩუმეს და მარადისობას, —
ვერაფერს წაართმევ...

* * *

მიმქრალი სამყაროს
ჭის ფსკერზე
გამოცოცხლდნენ
წვეთები...

* * *

ნეტა ასე ვიდგე და ვიდგე
შემოდგომათა შორის...

* * *

შემოდგომის ცის ქვეშ
აბოლებს თავის საკმეველს
შემოდგომის კოცონი...

* * *

მინდოდა ახალი სიტყვები
მომეფიქრებინა
და მხოლოდ მაშინ მივხვდი
ძველის მნიშვნელობას...

* * *

ზღვას ააწყდნენ ფრინველები
და შხეფთა მარცვლები
მიეთესებიან ლურჯ ყანაში...

* * *

ჩაის სმა,
თოვლით გადაპენტილ
დაბლობებს შორის,
სადღაც მომავალსა და წარსულს,
მარჯვენასა და მარცხენას შორის...
შუალამით მიმქროლ მატარებელში
მარტო ხარ ერთხელ,
ერთხელ და ყოველთვის...
მშვიდობა თქვენ გეზარეულებო და
თქვენ, ვინც ასეთები არა ხართ...
ბედნიერების მოლოდინში,
რუსეთის რკინიგზებზე მეტეორის
სისწრაფით მიქრის მატარებელი,
რომ თვალგაუღწეველ, მფრინავ თეთრ
ბინდებს შორის იხილოს, –
ყვითელი ლაქა, დიდთოვლობით
ჩამონგრეულ სახლის ფანჯრებზე...
თუჯში ჩასმული თლილი ჭიქა
მაგიდაზე ირხევა,
როგორც ტარკოვსკის „სტალკერში“,
გამოუცხადებელი ომების ეპოქაში
და ასე შემდეგ...
მივფრინავთ
„ნათელი მომავლიდან“, – „დიდებულ
წარსულში“...

* * *

და აი შეხვდნენ ერთმანეთს
მარშანდელი და ახალი ბალახები...

პარღო

შენ მართლა
სამოთხის ცეცხლი ხარ,
ანღა ტრიღობა...

* * *

ნეტა ასე ვიწვე და ვიწვე
სანამ აღუჩას
ცვივა ფერი...

* * *

ყველაფერი დაიწყო სიყვარულით...

* * *

გზაროდენ სიცოცხლის სიხარული...

* * *

და ჟამთა ბოლოს დადგება ჟამი,
როდესაც ზოგს შეიპყრობს
არნახული მწუხარება,
ზოგს კიდევ შეუკავებელი
სიხარული....

* * *

ნურც განდიდდები
და ნურც სასოწარკვეთას მიეცემი
სამყაროს მარადისობით...

* * *

მერცხლები წერენ გაზაფხულს,
ელვები – ქუხილს,
მზე კი – სიყვარულს...

* * *

აქ აწყდება ერთმანეთს
სინათლე და სიბნელე, —
და ჭეშმარიტების კვეთით
სამყაროს მიეწოდება სიახლე...

* * *

ყური უგდე:

ცა და მიწა

ყველაფერს ამბობენ...

* * *

გაზაფხულის მთელი გრძელი დღე,
ხან მიყუჩდებოდა და ხან მომატებით —
მრავალფეროვანი სიმხიარულით
იღვრებოდა წვიმა
და ყველას ჰქონდა ადგილი
ბედნიერი წვეთების ქვეშ...

* * *

საუბარი, რომელიც ყელიდან აღმოგხდება
სიტყვის და ენის გარდაცვალების შემდეგ —
არც გოდებაა, არც ტირილია,
არც ყვირილია —
სიმუნჯე და დუმილია...
მაშინ უნდა ჰპოვო
სუნთქვის ყვირილი,
როგორც ფრენისას
ფრთამოტეხილმა ფრინველმა...

ბრბოს მართობა

ბრბო თავის კეისარზე ოცნებით
მუდამ მარტოა და –
ბოლოს და ბოლოს შობს მას,
რომ ეშინოდეს თავისი სურვილისამებრ...
ასევე, – მეორე მხარეს მარტოა კეისარი...
ისინი ეშაფოტთან ხვდებიან ღირსეულად,
გვირგვინით, ქუდით, ჰალსტუხით,
რომ განშორდნენ მართობას,
ხელახლა შეიყვარონ
და კვლავ დაუბრუნდნენ ოცნებებს,
უთხრან: კი ან არა, –
საკუთარ თავს... სხვას...
არავის... არასდროს...

* * *

ახალმოთიბულ ბალახის მუქ ზოლებზე
მსუბუქად თარეშობენ ჩრდილები...

* * *

ვარსკვლავები მოდიან სიბნელეში...

* * *

ფუტკარმა ძირამდე
დაკოცნა ვარდი...

* * *

ლურჯ სივრცეში ორი ღრუბელი
ისვენებდა მშვიდად და წყნარად
და უცებ დნობა დაიწყო,
როგორც გაფანტულმა ბაბუაწვერებმა...

* * *

შემოდგომის ბრწყინვალება

ოქროთი იქარგება

გაზაფხულში, მტვრიან

ბალახებს შორის...

აი, როგორ იქმნება

ნათელი თვისება...

* * *

რიქრაჟიდან გამოდის ხე...

* * *

და კვლავ ხვდები,
რომ მთელი სამყარო
დაფრინავს და ტრიალებს,
როგორც ეს ფიფქების გუნდი...

* * *

შენ მიემართებოდი შუქთა არილისკენ,
გამოფხიზლებული ყინულის ლოლუების
გრძელი სიმღერების თანხმლებით
და მარცვლებით იჭორფლებოდა
ხორბლის ყანა...

* * *

ვინც ცას დაინახავს, —
მას სხვა არაფერი მოუწდება...

* * *

ცა სდუმს სიყვარულზე...

* * *

დაბრუნების ღამეს
ბავშვობის ტკბილ სიმღერას –
გათენებამდე მღეროდნენ
ჭრიჭინობელები...

* * *

მე დამესიზმრა სიცხადე – როგორც

სიზმარი...

შენ თითქოსდა ცხადად ვიდოდი სიზმარში...

მე კვლავ დავიკარგე ამ სიზმრის სიცხადეში,

რომელიც ისევ შენზე დამესიზმრა...

* * *

წინ წაწევა სურთ უესტების ოსტატებს
და სიტყვით სპეკულანტებს,
ეჯიბრებიან ჰერაკლეს ღონეში და
დროში დაგვიანებულები, მინც,
რომელ აქტივს არ იყვინენ, —
მეათეში თუ მესამეში, —
ენერგიულად ჩანან.
საოცრებაა, საოცრება...
გვეთხოვებიან გასული საუკუნეები...
დროა, გამოვაჭენო
ლამაზი სიტყვებიდან...
ჰო მართლა, სად ვიდევით ჩვენ?
ჩვენ... ჩვენ... ჩვენ სიბნელე
გუშინაც გვეონდა, დღესაც გვაქვს
და ხვალაც გვექნება...

* * *

ფრთხილად იყავით,
დედამიწა მრგვალია და ჩვენ
ცისა და მიწის
ბღვარზე დავდივართ,
ჰორიზონტი თვისებასავით
მუდამ ფეხთქვეშაა,
წაიბოროძიკებ და გაფრინდები
უფსკრულისკენ...

* * *

აღფაც და ომეგაც,
პრობლემაც და მისი ამოხსნაც,
სინათლეს და წყვიდიადიც, —
ყოველივე ეს არის ადამიანი...

* * *

ხალხი დგას ზღვარზე და
არჩევს და ირჩევს
უშედეგოდ.
მათ თაღლითები
ისევ აპარებენ
მხარდაჭერილ ტყუილს,
ისინი ყიდულობენ,
ესენი იყიდებიან,
ხალხის მოტყუება ხომ
ასე ადვილია,
თვითონ „მოსწონთ როცა ატყუებენ“...

* * *

მანქანებს უჭირთ,
რკინის ნაკადი უძვრებათ სულში...
ხმაურიან ქუჩებში
როდის დადგება „რაღაც“...
გარეუბანში ორი სასაფლაოა,
მოვაჭრენი საბჭოთა ნაგვით.
ნეტა, დაგვაბრუნა იმ ხანაში,
სადაც მართო შუქნიშნები
არ ამცირებენ დროს
ამ ხანიდან მამონტებამდე
და გამოქვაბულს ხელებით
რომ არ გვაწვდიან...
მთვარე მძვინვარებს —
როგორც უძველესი
ჟამის ფარანი...

* * *

ბაღში, ვარსკვლავების ქვეშ
იცინოდნენ ყვავილები...

* * *

შემოდგომის ქსელებში გაიხლართა
მისასაღმებელი სიღამაზე...

* * *

ღმერთი წერს დუმილის ენით...

* * *

ჩვენ ცვხოვრობთ მათ შორის,
რაც უკვე არასდროს დაბრუნდება
და მოლოდინში იმისა,
რაც აწი მოგვევლინება.
წარმოსახვითი წუთების აურა, – რაც
არ დაბრუნდება, – მუდამ მშვენიერია,
რაც იქნება, – გაუგებარია,
იქნებ სულაც არ იქნება,
თუ მოულოდნელად გაწყდება ძაფი
არასტაბილური წუთების...

* * *

სდუმან ერთმანეთში
ცა და სული,
მიმოდინა ღრუბლები,
არა, ღრუბლები არა —
ეს სულის ხმაა
მოხეტიალე სივრცეში,
ისეთი შორია და ახლო,
ვერც ხვდები და
ვერც აჩერებ...
ყოველივე ეს არის
სულის უხმო და
მუდმივი მოძრაობა,
რომელშიც სული არის —
როგორც ცა და
ცა — როგორც სული...
თვალები კი სავსება
ცით და სულით...

სამსტროფელი

ყოველ ჯერზე, სანამ კალმით
შეეხებოდე სუფთა ფურცელს, –
მოუსმინე იმ სიჩუმეს,
რომელსაც თვითონ გიწერს და
რომლის დარღვევასაც შენ აპირებ...
დე ეს იყოს შენი ლოცვა...
წარმოიდგინე, თითქოსდა დგახარ
სიჩუმეს და მის შორის,
სიჩუმის ხელებით შემოხვეული...
განიწმიმდე...
მინდობილი, ენდოს, შენს სამსტროფედს...
შენ კი ენდე ფურცლის პირველ სახეს და სიჩუმეს...
ნუ იქნებიან შენი სიტყვები ხმამაღალნი,
ამაყნი და ნურც ჩუმნიც...
და კიდევ... სთხოვე პატიება იმ ფურცელს,
იმ ხესა და იმ სიჩუმეს...
ამინ...

* * *

მე მჯერა იმის, ვინც
მრავალ ბედნიერთა შორის
მუდამ მწუხარება
და იმ პირველი ვარსკვლავის,
რომელიც ყველაზე ადრე იღვიძებს
მთვლემარე მნათობთა შორის.
ბავშვის...
ფრინველის, რომელიც
შავ გალიაშია გამომწყვდეული,
მიწიერი გზების და
იმ მდინარის,
ღამე რომ მიედინება.

* * *

ცურდება ჭიანჭველების განთიადი,
ნადავლს – ექაჩება მზე.

* * *

ჯერ კიდევ არ დამდგარა ზაფხული...
როგორ დაეცნენ მიწაზე ფოთლები,
როგორ ჩასახლდა ადამიანებში შემოდგომა
და როგორ გაყვითლდნენ მთელ მსოფლიოში მდინარეები.

* * *

მე ვარ სიჩუმე შენი ლანდის,
რომლითაც შენ უნდა
იარო უკვდავებამდე...

* * *

შენ ჩემი სულის კარი შეაღე,
შეძელი... შეაღწიე და
შენი თვალების კვალი,
სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს სახეზე.

* * *

დიდი გმირობაა —
იცხოვრო ისე,
როგორც შენ გინდა
და არა სხვებს...

* * *

მე ვარ სფინქსი ფარაონის თვალებით
და სიზმრებით ვიწვები მზის უდაბნოში...

* * *

შემოდგომის ფოთლები კვდებიან ორჯერ:
ჯერე ხეზე და შემდგომ
იფერფლებიან კოცონზე...

* * *

ქალაქის თავზე მწოლი ღრუბლები –
ამხელენ ქალაქის ცოდვებს.

* * *

ვოცნებობ რომ დავბრმავდე
და სიბრმავეში განვჭვრიტო...

* * *

საგაზაფხულო წვეულებაზე, ფრინველების ბუდეები, –
სასმისებს ჰგვანან ხეთა ხელებში...

* * *

ქალაქში სადაც ქვის კედლებში
ფეთქავენ ადამიანთა გულები,
სიზმრის სათავეში,
მტრედების ნაძერწი
სუნთქავს შენი სხეული.
აქ თითქოსდა ზღვის ტალღები
ექოა გარდასულ საუკუნეების,
რომლებშიც ჩარჩენილია შენი კვალიც:
ბლების მომწიფებულ ბაგეებზე,
პერსეპოლოსის ნანგრევებში,
პირამიდების წვერზე,
სხეულის უჯრედებში,
ჩვილის ყოველ ამოსუნთქვაში,
რომელსაც აკვანში არწევს
დაღვრემილი და თან ბედნიერი დედა,
მიწიერ ყველა გზებზე,
გამომშრალ, ქალთა სილამაზის
მადიდებელ პოეტთა თვალებში,
ხორბლის თითოეულ მარცვლებში,
მშვიდობისთვის გაშვებული
რაკეტების რკინის ჩარჩოში
და ყოველ მიმქრალ დღეში —
ჩარჩენილია შენი კვალიც...

* * *

თოვლი... შუქნიშნები... ხალხი... მანქანები...
თეთრი ცა... ყვითელი შენობები...
ელექტრონულ საათების შავ უდაბნოში
ქრება და ინთება ორი წერტილი...
სიფხიზლესა და ძილ-ბურანს შორის,
მომავალსა და წარსულს შორის,
უიმედობასა და იმედს შორის, –
ანათებს, ანათებს ორი წერტილი...
საათებს, წუთებსა და წამს შორის,
ნახულ და არნახულ ჩემს ბედს შორის,
ჩემს, შენსა და ცრემლს შორის –
ანათებს გაწელილი ორი წერტილი...
ეს ორი ზურმუხტის წვეთი,
ანარეკლია შორეულ, არდაბრუნებადის.
თეთრ მანქანაში, საათში და წუთში
აენტო მრავალწერტილი...

* * *

ბავშვობა და რამოდენიმე სტრიქონი, —
ეს არის რაც წარსულისგან დამრჩა...
ყველაფერი ერთ სტრიქონში ჩაეტია, —
ბავშვობის გარდა...

* * *

არ ირითმება ბედი და ცხოვრება,
როგორც ხე და ფრინველი,
როგორც შორეული ცა და გული.
არასდროს ერწყმიან ერთმანეთს
შემოდგომის და გაზაფხულის კვამლი.
არც მოხეტიალე ქარი ერწყმის შემოდგომას.
არ ირითმება ცხენის ფაფარი ვარსკვლავთან,
ჩურჩული ყვირილთან,
შელამება განთიადთან,
ცივი ხანჯალი ცხელ გულთან.
სიკეთე არ ირითმება ბოროტებასთან,
ნებისმიერი სიცოცხლე ნებისმიერ სიკვდილთან, –
და რაც მთავარია, ეს სულის მხურვალეობა
არ ირითმება ბრბოს მარტოობასთან...

* * *

დრო – ჯვარცმულია,
სივრცე – გაოთხებული...

* * *

რა კარგია რომ ამ ქვეყნად
არსებობენ ვარსკვლავები...
და ღამე... – წყნარად
რომ უმზირო მათ...

* * *

რისი თქმაც ვერ შევძელი, –
ყველაფერი სიხუმეს გადავეცი...

* * *

გამთენიისას შევიძლია ნახო,
როგორ შეჭხარიან ჩიტები დილას,
როგორ სდუმან
ცარიელი ბუდეები
ცარიელ ხეებზე
სოფლის სიმუნჯეში,
სადაც ყოველი წამი
უდრის სიბნელიდან აღდგომას...

* * *

„სხვა“ – შეიძლება იყოს „ყოველი“....

* * *

ადამიანს არ შეუძლია
და ვერც ვერასდროს შეძლებს,
საკუთარი თავის
ბოლომდე შეცნობას, —
და ეს ყველაფერი
არის მტკიცედ მიუთითებს
მისსავე უვარგისობაზე...

* * *

მზეს გამოსტაცეთ ცოტა სიხარული,
ბალახს – ცოტა სიმყარე,
მიწას – მუჭა მოთმინება,
სინათლეს – ცოტა ციმციმი,
ჰაერს – ცოტა დიდსულოვნება,
წყალს და ცეცხლს – ცოტა წვეთი და
ნაპერწკალი –
და თქვენი ცხოვრება
იქნება დღესასწაული...

* * *

„სხვა“ — ეს არის „ის“, ვისაც
შენ მოუყვები „ყველაფერს“...

* * *

ნუთუ ეს ვარსკვლავები, მართლა
სულეებია მიცვალებულთა?
ნუთუ ეს ბუნდოვანი გზა, მართლა
კვალია სიყვარულის?
ნუთუ, მარადიული და მართლა უსაზღვროა
ეს სამყარო?
ნუთუ, სადღაც შენც არსებობ
მართლა?

* * *

ფიქრი — ყველაზე უნიკალური თვისებაა
ადამიანის შესაძლებლობათაგან.
ფიქრით შეუძლია ადამიანს
ჩიტივით იფრინოს ჰაერში,
თევზივით იცურაოს ოკეანეში,
შემოიაროს ხმელეთი, მთა და
გაარღვიოს კედლებიც.
იმოგზაუროს ხილულ და უხილავ ეპოქაში...
და კიდევ ბევრი...
და კიდევ ბევრი
რამ შეუძლია ფიქრით და ფიქრში...
ფიქრში ეცლება ძალა, ეფანტება და გაურბის
ყველაფერი, —
საბოლოოდ კი ნერვები რჩება გამოღრღნილი...

* * *

ნეტავ შეიძლებოდა
სთხოვო ვინმეს ცრემლები,
რომ მიწაზე იპოვო
სანატრელი სიმშვიდე...

* * *

ამერიიდან ვიქნები „სხვა“, –
თუ ჰერ კიდევ ვარ „მე“...

* * *

სამშობლო – დაუცხრომელი და უძლეველი
გულია ჩემი...

